DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.10

იდეოლოგიური დიქტატურა და „უღმერთობის“ ბიუროკრატიზაცია: მებრძოლ უღმერთოთა კავშირის საქმიანობა და რელიგიური ლანდშაფტი აჭარაში (1930-1940-იანი წლები)

IDEOLOGICAL DICTATORSHIP AND THE BUREAUCRATIZATION OF "GODLESSNESS": THE ACTIVITIES OF THE UNION OF MILITANT ATHEISTS AND THE RELIGIOUS LANDSCAPE IN ADJARA (1930–1940)

TAMAZ PHUTKARADZE
Batumi Shota Rustaveli State University, professor of the Department of History, Archaeology and Ethnology; Head of Service of Foreign, Public and Media Relations, Publication and Use of Documents of Archives Administration of Ajara;
Batumi, Georgia
ORCID:0000-0002-0489-8036
txil1968@gmail.com
+995 577 179723

NANI PUTKARADZE
Doctor of History, Batumi Shota Rustaveli State University;
Batumi, Georgia
nanikoputkaradze@yahoo.com
+995 577 141042

Abstract. Against the backdrop of Batumi's historical tolerance and cultural pluralism, this paper examines the mechanisms of implementing the anti-religious policy of the Soviet period in Adjara during the 1930s and 1940s. It discusses the activities of the "Union of Militant Atheists" (UMA) as part of the repressive and ideological apparatus. Based on materials from the National Archives of Adjara, the paper analyzes the process of the institutionalization of atheism, statistical data recorded in archival documents, trends in the closure of houses of worship, and the internal resistance of the population against the totalitarian system.

Keywords: Union of Militant Atheists (UMA), Soviet repressions, atheism, history of Adjara, religious tolerance, Batumi, archival materials, ideological propaganda.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

თამაზ ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; აჭარის საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების სამსახურის უფროსი;
ბათუმი, საქართველო
ORCID:0000-0002-0489-8036
txil1968@gmail.com
+995 577 179723

ნანი ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორი;
ბათუმი, საქართველო
nanikoputkaradze@yahoo.com
+995 577 141042

აბსტრაქტი. ნაშრომში ბათუმის ისტორიული ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის ფონზე განხილულია საბჭოთა პერიოდის ანტირელიგიური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები 1930-1940-იანი წლების აჭარაში. მასში განხილულია „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ (მუკი) საქმიანობა, როგორც რეპრესიული და იდეოლოგიური აპარატის ნაწილი. აჭარის სახელმწიფო არქივის მასალებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია ათეიზმის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი, საარქივო დოკუმენტებში დაფიქსირებული სტატისტიკური მონაცემები, სამლოცველოების დახურვის ტენდენციები და მოსახლეობის შინაგანი წინააღმდეგობა ტოტალიტარული სისტემისადმი.

საკვანძო სიტყვები: მებრძოლ უღმერთოთა კავშირი (მუკი), საბჭოთა რეპრესიები, ათეიზმი, აჭარის ისტორია, რელიგიური ტოლერანტობა, ბათუმი, საარქივო მასალები, იდეოლოგიური პროპაგანდა.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიქმნა ვაკუუმი რელიგიური პროცესების ობიექტური შეფასების თვალსაზრისით. კომუნისტური რეჟიმის პირობებში რელიგია განიხილებოდა წარსულის „მავნე გადმონაშთად“, რაც ხელს უშლიდა რეალური სურათის დანახვას. ბათუმი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და „პორტო-ფრანკოს“ სტატუსით, ისტორიულად ჩა-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მოყალიბდა, როგორც მულტიკულტურული და მულტიკონფესიური ცენტრი, სადაც ჰარმონიულად თანაარსებობდა ისლამი, მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი და იუდაიზმი. აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული მასალების (ფონდი რ-260) საფუძველზე ნაჩვენებია საბჭოთა ანტირელიგიური მანქანის მუშაობის სპეციფიკა, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და ის სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელიც 1930-იანი წლების „დიდი ტერორის“ პერიოდში სუფევდა რეგიონში.

კვლევა ეფუძნება ი**სტორიული წყაროების და დოკუმენტების ანალიზის მეთოდს.** გამოყენებულია აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული საქმეები (ფონდი N 260, ი-977), სხდომის ოქმები, ფინანსური უწყისები და ლექტორ-პროპაგანდისტების ანკეტები. კვლევისას გამოყენებულია ინ**ტერდისციპლინური მიდგომა,** რაც საშუალებას იძლევა მოვლენები განხილულ იქნას როგორც პოლიტიკურ, ისე ეთნო-ფსიქოლოგიურ ჭრილში.

ძირითადი შედეგები

საარქივო მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ათეიზმი არ იყო მხოლოდ იდეოლოგიური მოძრაობა. იგი იყო კარგად დაფინანსებული სახელმწიფო იერარქიული სისტემა. მუკ-ის წევრები იღებდნენ ყოველთვიურ ხელფასს, ხოლო ორგანიზაციები შექმნილი იყო ყველა სტრატეგიულ ობიექტზე (აწჰესი, ჩაის ფაბრიკები, სკოლები). **დადგინდა აგრეთვე** 1937 წლისთვის ბათუმში მოქმედი მუკ-ის **უჯრედებისა (64 უჯრედი) და წევრების (4000 წევრი) რაოდენობა; სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებ**ი („სოციალისტური შეჯიბრების“ პარადოქსული გამოყენება ანტირელიგიურ საქმიანობაში, საიდუმლო კომისიების არსებობა „ხალხის მტრების“ გამოსავლენად); **კულტურული ნგრევა (**209 მეჩეთიდან 95 დაიხურა, ხოლო მრავალი საკულტო ნაგებობა (სინაგოგა, ეკლესიები) გადაკეთდა სპორტულ დარბაზებად და კლუბებად) და ა. შ. რეპრესიების მიუხედავად, მოსახლეობა (მათ შორის კომკავშირელები და ინტელიგენცია) ფარულად აგრძელებდა რელიგიური რიტუალების (ნათლობა, ბაირამი) შესრულებას.

მსჯელობა

საბჭოთა იმპერიის კრახის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა სოციალ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ სულიერ-სარწმუნოებრივმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა კომუნისტური მმართველობის პერიოდში მიმდინარე მოვლენების ობიექტური გაშუქება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიგიური პროცესების შესწავლა და ანალიზი. საბჭოური სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხების კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული, რამაც განაპირობა ის **ისტორიოგრაფიული ვაკუუმი,** რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში შეიქმნა. ათეისტური იდეოლოგიისა და იდეოლოგიური ფილტრის პირობებში, რელიგია განიხილებოდა არა როგორც კულტურის ან იდენტობის განუყოფელი ნაწილი, არამედ როგორც „წარსულის გადმონაშ-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

თი“, რაც რეალური სურათის დამახინჯებას იწვევდა. რელიგიური პრობლემატიკა, ეთნო-კონფესიური პროცესები ერთმანეთისაგან გამიჯნულად, ცალმხრივად, საბჭოური იდეოლოგიის გათვალისწინებით შუქდებოდა. შედეგად, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ (მიღწევების მიუხედავად) ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაგვიტოვა ჩრდილოვანი მხარეები (თ. ფუტკარაძე, 2011:.56). სასულიერო პირების რეპრესიები, ეკლესია-მონასტრების ნგრევა და ავტოკეფალიის საკითხი ფაქტობრივად ამოღებული იყო სამეცნიერო მიმოქცევიდან.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საზოგადოებაში გაჩნდა „სულიერი შიმშილი“, რამაც რელიგიური საკითხების მიმართ ინტერესი მკვეთრად გაზარდა და ხელი შეუწყო მითების დეკონსტრუქციას. თანდათან იწყება საბჭოთა პროპაგანდის მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპების ჩანაცვლება მეცნიერული არგუმენტებით.

აჭარის, კონკრეტულად ბათუმის ეს ისტორიული სურათი კარგად აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდება **კულტურული პლურალიზმი** გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე. 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ქალაქის დაბრუნება საქართველოს (მაშინდელი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) და მისი **„პორტო-ფრანკოდ“** (თავისუფალ ნავსადგურად) გამოცხადება გახდა ის ფუნდამენტი, რამაც ქალაქს კოსმოპოლიტური ელფერი შესძინა და აქცია სხვადასხვა შინაარსის, კულტურისა და რელიგიის თავშეყრის ადგილად ადგილად.

ერთის მხრივ, აქ მძლავრად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ამავე დროს გზას იკვალავდა ისლამური, იუდაისტური და სხვა რელიგიური მიმიდინარეობები. ყოველივე ეს, განპირობებული იყო ბათუმის გეოპოლიტიკური მდებარეობით. ქალაქის შემდგომმა განვითარებამ, მისმა საპორტო ქალაქად ქცევამ მოიზიდა განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების და თემების ჩამოყალიბება, **რომელთა კულტურა ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის ნაწილად იქცა** (თ. ფუტკარაძე, 2011:56).

ოსმალური მმართველობის პერიოდმა აჭარაში ისლამი არა მხოლოდ რელიგიად, არამედ სოციალური ყოფიერების ნაწილად აქცია. ბათუმში აშენებული **ორთა ჯამე** (1886 წ.) სწორედ ამ პერიოდის სიმბოლოა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, მიუხედავად აღმსარებლობის ცვლილებისა, ინარჩუნებდა ქართულ ენასა და ადათ-წესებს. ეს ქმნიდა უნიკალურ „ქართულ-ისლამურ“ სინთეზს. მართლმადიდებლური ტაძრების გვერდით გაჩნდა კათოლიკური (დღევანდელი ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი), სომხურ-გრიგორიანული და პროტესტანტული ეკლესიები. ებრაული მოსახლეობის ზრდამ განაპირობა სინაგოგის მშენებლობა, რაც ბათუმის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებდა. ბათუმმა შეძლო ის, რაც ბევრ იმპერიულ ქალაქში ვერ მოხერხდა - სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანების თანაარ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სებობა - ქალაქის საერთო იდენტობის შენარჩუნება და გამდიდრება. ბათუმის ეს „ჭრელი“ წარსული დღესაც განსაზღვრავს ქალაქის ტოლერანტულ ბუნებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა რელიგიურ იდეოლოგიას. რელიგის წინააღმდეგ საბრძოლველად ამოქმედდა სახელმწიფო ტოტალიტარული მექანიზმი. შეიქმნა **,,მებრძოლ უღმერთოთა კავშირები”,** მოგვიანებით კი სახკომსაბჭოსთან დაარსდა **რელიგიური კულტების საბჭო.** ეს იყო საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული იდეოლოგიური ორგანიზაცია იყო და წარმოადგენდა კარგად ორგანიზებულ ბიუროკრატიულ მანქანას, რომლის მიზანი იყო რელიგიური გადმონაშთების „ამოძირკვა“ , რწმენის სრული ეროზია და მისი ჩანაცვლება „მეცნიერული ათეიზმით“. თუ „უღმერთოთა კავშირი“ აგრესიულ პროპაგანდას ეწეოდა, **რელიგიური კულტების საბჭო** (შემდგომში „რელიგიის საქმეთა საბჭო“) ასრულებდა „თვალთვალის“ ფუნქციას. აჭარაში, ამ ორგანიზაციების საქმიანობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენდა, რადგან აქ რელიგია (ისლამი თუ ქრისტიანობა) მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ ყოფასთან.

ნიშანდობლივია, რომ ანტირელიგიური საქმიანობისათვის დაწესებული ყოფილა სპციალური ჯილდო - **სამკერდე ნიშანი.** ამ ჯილდოთი დაჯილდოვებულთა შორის მოხსენიებულია რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული აჭარაში **მუხამედ ვანლიში** (ასსცსა, ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც.26). ეს იყო კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ახდენდა საბჭოთა სისტემა ადგილობრივი კადრების „ვერიფიკაციას“ (თ. ფუტკარაძე, 2011:.57). ის, რომ რწმუნებული თავად იყო ადგილობრივი წარმოშობის, სისტემისთვის ორმაგად მომგებიანი იყო: ის უკეთ იცნობდა ადგილობრივ ფსიქოლოგიას, ენასა და ტრადიციებს, რაც კონტროლის ეფექტურობას ზრდიდა. ანტირელიგიური ჯილდო მათ ხელში იყო ფსიქოლოგიური იარაღი და იდეოლოგიური მარკერი.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით ფრთხილობდა. ერთი მხრივ, ის ებრძოდა ისლამს, როგორც „იდეოლოგიურ მტერს“, მაგრამ მეორე მხრივ, ერიდებოდა რეგიონში სოციალური აფეთქების პროვოცირებას. სწორედ ამიტომ, ვანლიშის მსგავსი რწმუნებულების როლი იყო არა მხოლოდ „აკრძალვა“, არამედ **„რელიგიის მართვა“** — მისი მოქცევა ისეთ ჩარჩოებში, სადაც ის საფრთხეს აღარ შეუქმნიდა კომუნისტურ პარტიას.

აჭარაში მუკის საქმიანობას ჰქონდა ძალიან **სპეციფიკური და ფაქიზი ხასიათი**, რაც რეგიონის რელიგიური მრავალფეროვნებით იყო განპირობებული, კერძოდ:

ა. საქართველოს სხვა რეგიონებში ძირითადი დარტყმა მართლმადიდებლურ ეკლესიაზე მოდიოდა, აჭარაში „მუკ“-ს უწევდა ორ ფრონტზე ბრძოლა - როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის წინააღმდეგ; განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა მაღალმთიან აჭარაზე, სადაც ისლამური ტრადიციები უფრო მყარი იყო. შესაბამისად, დახურეს სამლოცველოები და ისინი ,,საკლუბო” ან ,,სამეურნეო” ფართებად აქციეს.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ბ.აჭარაში ათეისტური კამპანია ხშირად „თურქული გავლენისგან გათავისუფლების“ ეგიდით მიმდინარეობდა, რაც პროპაგანდას ნაციონალისტურ ელფერსაც სძენდა.

გ.ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება **ჩადრის ახდას უკავშირდებოდა.** ,,მუკ“-ის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქალთა ემანსიპაციის კამპანიებში, რაც ხშირად რელიგიური სიმბოლოების (ჩადრის) საჯარო მოხსნითა და დაწვით გამოიხატებოდა.

დ. ვინაიდან აჭარის სოფლებში წერა-კითხვის დონე დაბალი იყო, კავშირი აქცენტს აკეთებდა ვიზუალურ და ზეპირ პროპაგანდაზე. რელიგიური დღესასწაულების (ყურბან-ბაირამი, აღდგომა) ნაცვლად ინერგებოდა „მოსავლის დღეები“, „კოლმეურნის დღე“ და ა.შ. „მუკ“-ის წევრებს (რომლებიც ხშირად ადგილობრივი გააქტიურებული ახალგაზრდები იყვნენ) უწევდათ დაპირისპირება საკუთარ ოჯახებთან და უხუცესებთან, რაც სოციალურ დაძაბულობას ქმნიდა.

პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი იყო **გაზეთი „ბეზბოჟნიკი“ (უღმერთო),** რომლის ადგილობრივი ტირაჟები და სტატიები სპეციალურად აჭარის კონტექსტზე იყო მორგებული. იგივე ფუნქციით იყო დატვირთული **სკოლა.** მასწავლებლები ვალდებულნი იყვნენ ყოფილიყვნენ „მუკ“-ის წევრები და ბავშვებისთვის ადრეული ასაკიდანვე ჩაენერგათ რელიგიისადმი ზიზღი.

საარქივო მასალებში დაცული ინფორმაცია გვეხმარება დავინახოთ რელიგიის სახელისუფლებო ორგანოების მუშაობის სპეციფიკური მექანიზმი, რაც გამოიხატებოდა კონტროლის ბიუროკრატიული პირამიდის ფორმირებაში. ეს პირამიდა თავის თავში აერთიანებდა ინფორმაციების შეგროვებას (რამდენი ადამიანი დაესწრო ლოცვას, რა თემებზე ისაუბრა მოლამ თუ მღვდელმა, ვინ გადაიხადა ქორწილი ან დაკრძალვა რელიგიური წესით...), ფინანსურ კონტროლს (რელიგიური თემების შემოსავლების (შემოწირულობების) აღრიცხვა და მათი მაქსიმალური შეზღუდვა) და ა. შ.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ აჭარის საარქივო სამმართველოს ცსა-ში დაცულ მეტად საინტერესო მასალებს **(ფონდი N260),** რომლებიც ასახავენ **,,მებრძოლ უღმერთოთა კავშირის” (შემდგომში მუკი) საოლქო საბჭოს საქმიანობას 1930-1940-იან წლებში.** ფონდში შესულია 22 საქმეთა ერთეული, რომლებშიც წარმოდგენილია მებრძოლ უღმერთოთა კავშირის რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული საბჭოს ოქმები, ,,მუკის“ ჩამოყალიბების საკითხები, ანტირელიგიური ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვა, პროპაგანდისტების შერჩევა და მივლინება რეგიონის სოფლებსა და ქალაქებში, სამთავრობო ინსტრუქციები, ანტირელიგიური პროპაგანდისა და ამ საქმეში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ერთმანეთის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის საკითხები და ა. შ. საარქივო მონაცემები ააშკარავებს საბჭოთა რეჟიმის კიდევ ერთ პარადოქსულ მხარეს: **„უღმერთოობის“ ბიუროკრატიზაციას**. ის, რაც ერთი შეხედვით სულიერ ან მსოფლმხედველობრივ საკითხად უნდა აღქმულიყო, საბჭოთა სისტემამ აქცია ჩვეულებრივ „საწარმოო“ პროცესად.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

#1 საქმეში წარმოდგენილია ბათუმის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის **ბათუმის რაიონული საბჭოს 1937 წ. 29 დეკემბრის სხდომის ოქმი**, რომელშიც ერთერთ საკითხად განხილული იყო მუკის ორგანიზაციის ჩამოყალიბების საკითხები. საბჭოს თავმჯდომარეობდა თ. ჭელიძე. ეს თარიღი შემთხვევითი არ იყო. ეს იყო „დიდი ტერორის“ პიკი, როდესაც ანტირელიგიური კამპანია ყველაზე აგრესიულ ფაზაში იყო შესული.

სხდომის დადგენილებით მუკის ორგანიზაციები ჩამოყალიბებული იქნა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში. დოკუმენტში დაფიქსირებულია ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების ადგილები და ხელმძღვანელი პირები, კერძოდ:

,, მახინჯაურის მეურნეობაში - გ. ამაშუკელი;
სალიბაურში - ა. ურუშაძე;
მახვილაურში - გვაზავა;
ამხ. სტალინის სახ.კოლ. (ორთაბათუმში) - გ. აბესაძე;
აწჰესში - კერესელიძე;
ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკაში (ურეხი) - ე. დევაძე;
უ.ნ.რ. 93 - მურადოვი;
რაიაღმასკომში - გ. სალუქვაძე;
ახალშენის ბერძნულ არასრულ საშუალო სკოლაში - თ. ჭელიძე;
აჭარისწყლის სრულ საშუალო სკოლაში - თ. ჭელიძე“

მუკის ყველა წევრს ეძლეოდათ ხელისუფლების მიერ განსაზღვრული **ყოველთვიური ჯამაგირი.** 1937 წლის ბოლოსთვის მუკი, როგორც იდეოლოგიური სტრუქტურა წარმოადგენდა კარგად ანაზღაურებად იერარქიული ქსელს, რომელიც იქმნებოდა ყველგან, განსაკუთრევბით იქ, სადაც ხალხის ყველაზე დიდი კონცენტრაცია იყო (ინდუსტრიულ-ენერგეტიკული ობიექტები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სასოფლო და საქალაქო დასახლებები და ა. შ.). ის ფაქტი, რომ მუკის წევრებს ეძლეოდათ **ყოველთვიური ჯამაგირი**, ამსხვრევს მითს იმაზე, თითქოს ათეიზმი მხოლოდ „ენთუზიაზმზე“ დამყარებული მოძრაობა იყო.

წარმოდგენილი ინფორმაცია არის უნიკალური **„რეპრესიული ტოპოგრაფია“**, რომელიც ზუსტად გვიჩვენებს, თუ როგორ მოიცვა საბჭოთა ათეისტურმა მანქანამ აჭარის ყველა სტრატეგიული ობიექტი. სიაში ნახსენები ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სიმბოლურია. იმ პერიოდში ბელადის სახელის მატარებელ ობიექტებში „უღმერთოთა“ მუშაობა განსაკუთრებული სიმკაცრით მოწმდებოდა. ნებისმიერი რელიგიური გამოვლინება აქ აღიქმებოდა არა მხოლოდ „უმეცრებად“, არამედ პოლიტიკურ საბოტაჟად.

1937 წლის ნოემბრისათვის ბათუმში ჩამოყალიბებულა **მუკის 64 უჯრედი,** რომელიც აერთიანებდა 4000 წევრს. ქალაქის საბჭოს მუკის თავმჯდომარედ იმ პერიოდისათვის მუშაობდა **კირისილოღლი (ხარიტონ ახვლედიანი)** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 76). ნიშანდობლივია ის, რომ მუკის შექმნისას გარკვეული ყურადღებაა გამახვილებული ეთნიკურ მახასიათებლებზე. წარმოდგენილი საარქივო მონაცემი კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მასშტაბური და სის-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ტემური იყო ათეისტური კამპანია აჭარაში. მოსახლეობის სოლიდური ნაწილი იძულებით თუ ნებაყოფლობით ამ ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ იყო მოქცეული.

დასახელებული ფონდის N1 საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე მუკის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1937 წლის 18 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომელზეც ერთ-ერთ საკითად განიხილეს მუკის რესპუბლიკური საბჭოსა და ანტირელიგური საბჭოს ხარჯთაღრიცხვა, თუმცა საკუთრივ ხარჯთაღრიცხვა ციფრობრივად საისტორიო დოკუმენტებში წარმოდგენილი არ არის. ამავე სხდომაზე **ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისათვის ლექტორ-პროპაგანდისტებად დაუმტკიცებიათ: მარო მახარაძე, ვუკოლ იაშვილი, ქემხაძე ზია, ჯუმალ ნოღაიდელი, ახმედ აბაშიძე, მუხამედ ვანილიში, ეუბ ბაგიროვი, დავით კვაჭანტირაძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ამაშუკელი, ავნი დიასამიძე, ხუსეინ ხინიკაძე, ხრისტო ცაცანიდი, ვახტანგ სამსონია, ხადიე კომახიძე, ნური ნიჟარაძე, სერგო განჩაროვი, დიმიტრი უჩანეიშვილი, ლენსკი.** წარმოდგენილი ჩამონათვალიდან გადახაზულია - ალეკო პარასკევოპულოს, ფეოდორ იაკოვლევის, მამფორიას, ნიკოლოზ სპილიოტის გვარები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 12), საარქივო საქმეში გვარების გადახაზვა 1937 წლის კონტექსტში შესაძლოა განპირობებული იყოს **პოლიტიკური უნდობლობით,** თუმცა სხვა დოკუმენტში თ. პარასკევოპულო კვლავ გვხდება ლექტორთა ჩამონათვალში, რომელსაც 1937 წლის 25 დეკემბრის ოქმის მიხედვით, ჩაუტარებია ლექცია თემზე: ,,რელიგიის წარმოშობა და მნიშვნელობა“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 6).

საარქივო დოკუმენტების მიხედვით წარმოდგენილი ლექტორ-პროპაგანდისტების სია (მახარაძე, ნოღაიდელი, აბაშიძე, ვანლიში, ბაგიროვი, ცაცანიდი, სპილიოტი, ლენსკი) ადასტურებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიზანმიმართულად არჩევდა სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პირებს, რათა პროპაგანდა ყოფილიყო ეფექტური შესაბამისი ეთნიკური წარმომავლობის თემისათვის. ბერძენი პროპაგანდისტი ესაუბრებოდა ბერძნულ თემს, ებრაელი - ებრაელებს და ა. შ. ასეთი მიდგომა განაპირობებდა შედარებით უფრო ნაკლებ აგრესიას, ვიდრე გარედან თავსმოხვეული იდეოლოგია.

მოხსენებათა თემატიკაში გათვალისწინებული იყო მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება შობის, ანტიშაშობაო ღონისძიებების და ზოგადად რელიგიური დღესასწაულებისა და მათი მავნეობის შესახებ. აქედან ნათელია, რომ მუკი ცდილობდა თავისი აქტივობების ტრადიციულ-რელიგიური ციკლისადმი მორგებას. ეს მოხსენებები იყო სტანდარტული ფსევდო-მეცნიერული ლექციები, რომელიც მიზნად ისახავდა რწმენის დემითოლოგიზაციას და მისი, როგორც „უმეცრების ნაყოფის“ პროპაგანდას.

შანანდობლივია ის ფაქტი, რომ ლექტორ-პროპაგანდისტებს შორის დასახელებულია **ნიკოლოზ სპილიოტი**, რომელიც იყო არქივის თანამშრომელი და ერთერთი ხელმძღვანელი. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ინტელექტუალური რესურსი სრულად იყო მობილიზებული იდეოლოგიური ფრონტისთვის. არქივისტებს ჰქონდათ წვდომა ისტორიულ დოკუმენტებზე, რასაც ხშირად იყენებდნენ

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ფაქტების კონტექსტიდან ამოსაგლეჯად და რელიგიური ინსტიტუტების „სამხილებლად“.

მუკს ჰქონდა საკუთარი პერიოდული ორგანო ,,მებრძოლი ათეისტი“. 1937 წლის განმავლობაში გამოსულა ჟურნალის 9 ნომერი (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 395). ჟურნალის 9 ნომრის გამოცემა ერთ წელიწადში მიუთითებს მძლავრ პოლიგრაფიულ და რედაქციულ მობილიზაციაზე. ეს ჟურნალი არ იყო მხოლოდ საკითხავი მასალა; ის აწვდიდა „ინსტრუქციებს“ ადგილობრივ აქტივისტებს, თუ როგორ მოეხდინათ რელიგიური გადმონაშთების დისკრედიტაცია.

მკვლევართა ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ **,,სოციალისტური შეჯიბრების“ საბჭოური პრაქტიკა გამოყენებული იყო ანტირელიგიური საქმიანობის სფეროშიც.** ეს საარქივო დოკუმენტი საბჭოთა სისტემის კიდევ ერთ აბსურდულ მხარეს ააშკარავებს: **ათეიზმის ინდუსტრიალიზაციას.** როდესაც რწმენა და მსოფლმხედველობა ხდება „სოციალისტური შეჯიბრების“ საგანი, ეს ნიშნავს, რომ ადამიანის შინაგანი სამყარო სახელმწიფო გეგმის ნაწილად იქცა.

ანტირელიგიური საქმიანობის წარმოებისათვის გამოცხადებულ ე.წ. სოცშეჯიბრში **აჭარის მუკს გამოუწვევია აფხაზეთის მუკის რესპუბლიკური საბჭო** (ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 12). საქმეში წარმოდგენილია აღნიშნულთან დაკავშირებული **ხელშეკრულება,** რომელშიც **გათვალისწინებულია მუკის წევრების რაოდენობრივი ზრდა, ანტირელიგიური სწავლების გაძლიერება სკოლებში, სამეცნიერო-პოპულარული ლექციების წაკითხვა, ანტირელიგიური ლიტერატურის პერიოდული გამოცემების გამოწერა** და ა.შ. (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 41). ეს არის ტოტალიტარული მართვის მწვერვალი. აჭარისა და აფხაზეთის მუკ-ების შეჯიბრება ნიშნავდა, რომ ორი რეგიონი ერთმანეთს ეცილებოდა იმაში, თუ: ვინ უფრო მეტ ადამიანს აიძულებდა უარი ეთქვა რელიგიაზე, ვინ უფრო მეტ „ანტირელიგიურ ლიტერატურას“ გაასაღებდა (ხშირად იძულებითი გამოწერით), ვინ უფრო ეფექტურად „გაწმენდდა“ სკოლებს სულიერებისგან. ეს ხელშეკრულება, ფაქტობრივად, იყო **სულიერი რეპრესიების გეგმა-გრაფიკი**, სადაც „ციფრები“ (წევრთა რაოდენობა) უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ადამიანის რეალური რწმენა.

მუკის წევრებს ეძლეოდათ სპეციალური წიგნაკები. ისინი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ საწევრო გადასახადები. სპეციალური წიგნაკები და საწევრო გადასახადები ამ ორგანიზაციას ამსგავსებდა პარტიულ ან პროფკავშირულ სტრუქტურას. საწევრო გადასახადის გადახდა ნიშნავდა სისტემისადმი ლოიალობის დადასტურებას.

საისტორიო საბუთებში დაცულია საწევრო ანარიცხებისა და შემოსული თანხების რეალიზაციის უწყისები, ასევე იმ ორგანიზაციათა და პირთა სია, რომლებსაც 1937 წლისათვის ჰქონდათ საწევრო დავალიანება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 18,19). საწევრო დავალიანება შესაძლოა პირდაპირი საფუძველი გამხდარიყო „არასაიმედოობის“ ბრალდებისათვის. ეს იყო ფინანსური ბერკეტი მოსახლეობის დასაშინებლად.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მუკი აქტიურად მუშაობდა ანტირელიგიური ლიტერატურის გავრცელებისათვის. #1 საქმის მე-20 ფურცელზე წარმოდგენილია უწყისი - რომელ ორგანიზაციაში უნდა გავრცელებულიყო: ,,მებრძოლი ათეისტი“, ,,რელიგიის წარმოშობა“, ,,ანტირელიგური პროპაგანდის ამოცანები“, ,,ინსტრუქციები“, ,,სოციალიზმი და რელიგია“ და სხვა სახის ლიტერატურა. უწყისში წარმოდგენილია აგრეთვე გავრცელებული ლიტერატურის რაოდენობა, ფასი და გავრცელების დრო (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 20).

ანტირელიგიური საქმიანობა ითვალისწინებდა სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებასაც. **ტარდებოდა საჯარო ლექციები, ადგილობრივი და რესპუბლიკური კონფერენციები**. მსგავსი ღონისძიებები იმართებოდა აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც. ამ საქმიანობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო გარკვეული რაოდენობის თანხა. ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1937 წლის 23 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო კონფერენცია ანტირელიგიური საქმიანობის გაძლიერების მიზნით, მაგრამ იგი ჩაშლილა, რადგან მუკის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს მიხეილ ქარცივაძეს განსახკომის ბუღალტერიიდან კონფერენციის ჩატარებისათვის გათვალისწინებული 500 მანეთი მიუთვისებია. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმეში დაცულია ბათუმის სახალახო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე დაწერილი ნ. სანიკიძის განცხადება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 74). საქმეში არის აგრეთვე მ. ქარცივაძის საპასუხო განცხადება, რომელშიც იგი აღიარებს აღნიშნულ ფაქტს და იღებს ვალდებულებას მისი თანდათანობით დაფარვის შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 75). ეს საარქივო ინფორმაცია საოცარი სიზუსტით გვიჩვენებს საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის „კულისებს“, სადაც იდეოლოგიური ფანატიზმი და ბიუროკრატიული კორუფცია ერთმანეთს კვეთდა. ის ფაქტი, რომ **მიხეილ ქარცივაძემ**, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ანტირელიგიური კონფერენციისთვის განკუთვნილი თანხა მიითვისა, სიმბოლურია. სისტემა**,** რომელიც **„**სულიერ სიწმინდესა**“** და **„**მეცნიერულ ეთიკას**“** ქადაგებდა**,** ხშირად მორალურად დეგრადირებული კადრებით იყო დაკომპლექტებული**.** საინტერესოა, რომ ქარცივაძე აღიარებს დანაშაულს და თანხის „თანდათანობით დაფარვას“ ჰპირდება სასამართლოს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხშირად იდეოლოგიური სტრუქტურები (როგორიც მუკი იყო) თავშესაფარი ხდებოდა ისეთი პირებისთვის, რომლებიც ამ პოზიციას პირადი გამორჩენისთვის იყენებდნენ. ნ. სანიკიძის განცხადება კი მეტყველებს მუკის შიგნით მოქმედ შიდა დაპირისპირებასა და დასმენების სისტემაზე.

საქმეებში დაცულია სამთავრობო ინსტრუქციები **,,მუკთან“ სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 28).

მუკი განსაკუთრებულ **აქტიურობას იჩენდა სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკურ ღონისძიებებში, განსაკუთრებით კი არჩევნების პერიოდში.** შესაბამისად, ტარდებოდა კრებები და ხდებოდა საარჩევნო უბნებზე მუკის აქტივისტების მიმაგ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 42, 43). მუკის ადგილობრივი და რაიონული ორგანიზაციების მუშაობის შესამოწმებლად ტარდებოდა სპეციალური ღონისძიებები. ამ მიზნით მთიანი აჭარის რაიონებში მოუვლენიათ ზია რამაზის ძე მჟავანაძე. მისთვისვე დაუვალებიათ მუკის ახალი უჯრედების ჩამოყალიბება და ანტირელიგიური საქმიანობის გააქტიურება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 48). პრაქტიკულად ეს იყო სადამსჯელო-იდეოლოგიური ექსპედიცია, რათა იძულებით დაენერგათ ათეიზმი იქ, სადაც ტრადიცია ყველაზე მყარი იყო.

განსაკუთრებით საინტერესოდ მოგვეჩვენა **1937 წ. 26 ნოემბრის ბათუმის მუკის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა,** რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად განუხილავთ **,,თავისუფალი მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრის, სამშობლოს გამყიდველის, ჯაშუშის და დივერსანტის“ ქათამაძის გამოყვანა პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.** სხდომის დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებები **,,რათა არ იქნან გაპარული ორგანიზაციის შემდგენლობაში ანტისაბჭოური ელემენტები“** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 53). ამ დოკუმენტიდან ნათელია, რომ **„მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ იყო არა** მხოლოდ ათეისტური კლუბი, არამედ რეპრესიული აპარატის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოების „წმენდაში“. ქათამაძის პრეზიდიუმიდან გაგდება და მასზე ასეთი იარლიყების მიწებება, სავარაუდოდ, მისი შემდგომი დაპატიმრების ან დახვრეტის წინაპირობა იყო. დადგენილება, რომ „არ იქნან გაპარული ანტისაბჭოური ელემენტები“, მუკს აქცევდა სუკ-ის დამხმარე ორგანოდ, რომელიც წევრების პოლიტიკურ საიმედოობას ამოწმებდა.

მუკის მუშაობის საკითხები იხილებოდა აგრეთვე კონფერენციებზეც. პირველ საოლქო კონფერენციაზე აჭარის მუკის საქმიანობა უარყოფითად შეუფასებიათ. კონფერენციაზე აღინიშნა **,,ხოჯების, მოლების, მღვდლებისა და რელიგიური კულტის სხვა მსახურთა ანტისაბჭოური მტრული აგიტაციის შემთხვევების გახშირება** (ხულოში, ქედაში), რაც უარყოფითი შედეგებიდან გამომდინარე, მუკის მარცხად იქნა აღქმული. **,,ანტირელიგიური პროპაგანდისადმი ოპორტუნისტულმა დამოკიდებულებამ და აჭარის მუკის საოლქო საბჭოებში მტრული ელემენტების მავნებლურმა საქმიანობამ მუკის ორგანიზაცია დაშლამდე მიიყვანა“** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც 101). მუკის მუშაობის უარყოფითი შეფასება („დაშლამდე მიყვანა“) ძალიან სახიფათო განაჩენი იყო ხელმძღვანელობისთვის.

საარქივო დოკუმენტებში აშკარად გაზვიადებულადაა წარმოდგენილი ცალკეული პიროვნების თუ ორგანიზაციების საქმიანობის უარყოფითი მხარეები. აღნიშნული ბრალდებები ხშირ შემთხვევაში მეტწილად სრულიად უსაფუძვლო იყო. საქმეში დასახელებული არიან **,,კონტრრევოლუციური დივერსიული ფაშისტური ცენტრის წარმომადგენლები“, რომლებსაც თითქოსდა კავშირი ჰქონდათ ,,უცხოეთში გადახვეწილ აჭარის მშრომელ, ბეგებთან, მოლებთან მღვდლებთან, ხოჯებთან“.** პრაქტიკულად ეს იყო მიზანმიმართული დისკრედიტაცია. რელიგიური პირების (მოლების, მღვდლების) გაიგივება ფაშიზმთან და დი-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ვერსიასთან საბჭოთა ხელისუფლებას აძლევდა „მორალურ“ უფლებას, ისინი ფიზიკურად გაენადგურებინა. დასახელებულ პირთა შორის ფიგურირებს **ლორთქიფანიძის, ლაღიძის და ხოზრევანიძის** გვარები (სახელები არაა მითითებული) (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 101). კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა **მუკის ორგანიზაციებზე სისტემატური კონტროლის აუცილებლობის საკითხი** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 102).

კონფერენციამ თავის დადგენილებაში საჭიროდ მიიჩნია **ანტირელიგიური აღზრდის საკითხების შეტანა აჭარის პედსასწავლებლებში.** ამ მიზნით, მიზანშეწონილად ჩათვალა პედინსტიტუტში შემოღებულიყო **რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის კურსის სწავლება.** დადგენილება ავალდებლებდა სკოლებს ახალგაზრდა **ნატურალისტთა წრეების ჩამოყალიბებას,** მოსწავლე ახალგაზრდებში ანტირელიგიური აღზრდისა და ,,მებრძოლ-ათეისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 104). პედინსტიტუტში ათეიზმის კურსის შემოღება და სკოლებში "ნატურალისტთა წრეების" დავალდებულება ემსახურებოდა რელიგიის საპირწონედ მეცნიერების გამოყენებას. ბუნებისმეტყველების სწავლება საბჭოთა სკოლაში ხშირად პირდაპირ ანტირელიგიურ ინსტრუმენტად იყო ქცეული, რათა მოსწავლეს "სასწაული" ბუნებრივი მოვლენებით აეხსნა და რწმენის საფუძველი გამოეცალა.

კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე **მოძრავი კინომანქანის შეძენა** (1938 წელი) მოსახლეობისათვის ,,ანტირელიგიური კინოების ჩვენების მიზნით“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 105). საქმეში ჩამოთვლილია ის დასახლებული პუნქტები, რომლებშიც ჩატარებული იქნა ანტირელიგიური ხასიათის კინოსეანსები (ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 291). "მოძრავი კინო მანქანის" შეძენა იყო რევოლუციური ნაბიჯი. სოფლებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი ან ნაკლებად განათლებული იყო, ვიზუალური ეფექტი (კინო) გაცილებით ძლიერად მოქმედებდა, ვიდრე ლექცია. "ანტირელიგიური კინოები" ხშირად დასცინოდნენ სასულიერო პირებს ან რელიგიურ რიტუალებს წარმოაჩენდნენ როგორც ანტისანიტარიასა და სიბნელეს.

წარმოდგენილი მასალები ადასტურებს ათეიზმის გარდაქმნას **,,რბილ,“ აგრესიულ სახელმწიფო ტექნოლოგიად (30-ნი წლების ბოლო),** რომელიც კინემატოგრაფიიდან დაწყებული საიდუმლო პოლიციური კომისიების ჩათვლით ეფექტურად გამოიყენებოდა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისათვის.

მუკის საბჭოების საქმიანობა **ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.** 1939 წლისათვის მუკის საოლქო საბჭოს ბიუჯეტიდან გამოუყეს 4800 მანეთი. გარდა ამისა, მუკის ორგანიზაციებს ევალებოდათ ფინანსური ბაზის განმტკიცება ადგილობრივი სახსრებიდან (დოტაცია, ლექციები, კინო სურათების ჩვენება და ა. შ.) (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 329).

მუკი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა რელიგიური დღესასწაულებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების საკითხებს. სხვა დღესასწაულებთან ერთად განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი ყურბან-ბაირამი. ერთ-ერთ დო-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026


კუმენტში დაგმობილია ამ დღესასწაულში თვით ,,კ.კ.“ (იგულისხმება კომკავშირის) წევრების მონაწილეობა და ,,მსხვილფეხა საქონელის განადგურება“ ამ დღესასწაულის დროს (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 130-131). ეს იყო ტიპური საბჭოთა ხერხი: რელიგიური რიტუალის კრიმინალიზაცია ეკონომიკური ზიანის საბაბით. კომკავშირელების მონაწილეობა ამ დღესასწაულში კი მიუთითებს იმაზე, რომ აჭარაში ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ იდეოლოგიური წვრთნაც კი ვერ **უმკლავდებოდა მას.**

საარქივო დოკუმენტებში არის ცნობა ქედის რაიონში ერთ-ერთი ხოჯის მკვლელობის შესახებ და გამოთქმულია შეშფოთება, რომ მკვლელობა ჩადენილია მტრების მიერ პროვოკაციის და ხალხში უკმაყოფილების გამოსაწვევის მიზნით. საისტორიო საბუთებში დაგმობილია ე. ქათამაძის საქმიანობა, მის მიერ კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრების გამო, რომ ,,ის ვინც არ იცის ყურანი, ვერ გაწევს ანტირელიგიურ პროპაგანდასო“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 131).

საარქივო დოკუმენტებში დადანაშაულებულია ,,ხალხის მტერი“ **ზექერია ლორთქიფანიძე,** რომელმაც თითქოსდა ხელი შეუწყო ხულოში ჯამეების მშენებლობას (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 134). 1937 წლის 31 ოქტომბის სხდომაზე მუკის პლენუმს შეუქმნია **საიდუმლო კომისია** (სავარაუდოდ ,,ხალხის მტრების“ გამოსავლენად და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დასათრგუნავად) **ფაიკ მიქელაძის, მემედ ვერძაძის და გრიშა კალანდაძის** შემადგენლობით (ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 143). წარმოდგენილი სააქრივო დოკუმენტი ადასტურებს მუკის პირდაპირ თანამშრომლობას სადამსჯელო ორგანოებთან. "საიდუმლო კომისია" ფაქტობრივად **"**ტროიკის**" (**სამეულის**)** მინიატურული ვერსია იყო ორგანიზაციის შიგნით.

საარქივო ფონდებში დაცულია აჭარის მუკის რესპუბლიკური საბჭოს ისტორიკოსებისთვის კარგად ნაცნობი დოკუმენტი - განცხადება ლავრენტი ბერიასადმი. იგი წარმოადგენს იმ დროინდელი "ენის მიტანის" და პოლიტიკური გადარჩენისთვის ბრძოლის კლასიკურ ნიმუშს. ამ განცხადებაში ჩანს 1930-იან წლებში გაბატონებული ურთიერთმტრობასა და ინფორმაციის ფარულად მიწოდებაზე დაფუძნებული გაუსაძლისი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო:

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026



საქ. კ.პ./ბ/ ცენტრალური კომიტეტის მდივანს

ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე ~~ბერიას~~

აყარის მებრძოლ უმუშევრთა კავშირის რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომლებისგან

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.-


1937 წლის 29 ოქტომბერს მოწვეული იქნა აყარის მებრძოლ უმუშევრთა კავშირის I-ლი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც დასახა შრომაქტიკული ღონისძიებები აყარაში ანტირელიგიური პროპაგანდის საწარმოებლად; აგრეთვე არჩეული იქნა უმუშევრთა კავშირის რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობა. ახალმა შემადგენლობამ შეუდგა მუშაობას კონფერენციის მიერ მოცემული პრაქტიკული ღონისძიებების საფუძველზე. მაგრამ უნდა იძქვას, რომ აყარაში ანტირელიგიური პროპაგანდა, როგორც საჭირო არ ყარდება; ჯერ ერთი, რომ აყარა ამ მხრივ განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, რადგან 10 წლიდან გოგონა იწყებს ჩადრის ყარებას, ახალგაზრდობის ძველ-ჩვეულებაში გამჯდარია რელიგიის ფესვები. ასე მაგალითად: სოფელ ალმეში-ხულოს რაიონში 20 წლის ახალგაზრდა ქალს აბუდაძემ ხელი მოკიდა რელიგიური კულტის სამსახურს და მეჩეთში მორწმუნეებს სალოცავად ალიძვებს; აქვე 1926 წლიდან პარტწევრი, კომეურნეობის თავმჯდომარე აფაღი ბიქვაძის ცოლი აყარებს ჩადრს, ლოცულობს, მარხულობს. ხულოს რაიონის სოფ. რიქეთის მასწავლებელ ხასან კოჩაიძის ცოლი ჩადრს აყარებს; ბაღდათის რაიონის სოფ. იჯადეს კომკავშირის წევრი ხასან ღომანთელი მარხულობს, ლოცულობს და ა.შ. რელიგიური წესების შესრულების ფაქტებს, როგორც აჭარის რაიონებში ისე ქალაქად ადგილი აქვს კომკავშირელების, პარტწევრების და ხელმძღვანელ პირადებში მომუშავეთა მიერ.

იმისათვის, რომ შეეძლოთ დამაჯერებელი, მოთმინებიანი ანტირელიგიური პროპაგანდა მორწმუნე ახალგაზრდა, ქალთა და მოწაფეთა შორის საჭიროა ჯერ-ერთობით მორწმუნეებისაგან მისვლა, საუბრები, ხშირი კითხვა, ანტირელიგიური ლიტერატურის გავრცელება, ანტირელიგიური ლექციები, კინო-სეანსების და წარმოდგენების ჩატარება სისტემატიურად, რომელიც მოგვცემს რამდენიმედ მაინც დადებით შედეგს, მაგრამ ეს აყარის სინამდვილეში არ ხდება, რადგან საამისო ფინანსიური საშუალებები არ არის. დღეს უკვე 13 აპრილია და მებრძოლ უმუშევრთა კავშირის თანამშრომლებს ხელფასი არ მიგვიღია, რაც იწვევს ჭირს ყოველდღიურ ეკონომიურ მდგომარეობაზე, ყოველდღიურ ლუკმაპურის საკითხზე. აგრეთვე გვაიძულებს ის მდგომარეობა, რომ რაიონებში არ ყარდება ანტირელიგიური პროპაგანდა და მორწმუნეთა შორის საჭირო აგიტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლის 6 თებერვალს საქ.კ.პ./ბ/ აყარის სახალხო კომიტეტმა გამოიყანა დადგენილება აყარაში ანტირელიგიური პროპაგანდის გასაძლიერებლად და აყარის მებრძოლ უმუშევრთა რესპუბლიკური საბჭოს შტატის შესაქმნელად. აგრეთვე საქ.კ.პ./ბ/ აყარიელთმის ბიუროს დაავალა აყარიანსახკომს პირადად ამხანაგ ჯუარკავას გამოეყანა საჭირო თანხა 84000 მანეთის რაოდენობით აპარატის შესანახად და ანტირელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად აჭარაში. დაევალა აყარიანკს, რომ

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026



უმეტესია რესპუბლიკურ საბჭოს სარჯთაო ცვლა გააფორმოს საბჭოს სახით, მაგრამ დადგენილება დაიწერა მის შესრულებაზე არავინ ბრუნავს. რისთვისაც გახლავთ სათანადო დახმარებას.

ხელს ვაწერთ:

1. აჭარ მუკ-ის რესპ. საბჭოს პ/მგ. მდივანი- /ნ. სანიკიძე/.
2. რესპუბლიკური ინსტრუქტორი- /ი. მიწყობილი/
3. ბათუმის რაისაბჭოს პ/მგ. მდივანი- /გ. მჟავანაძე/.
4. საქმეთა მმართველი- /მ. გურგენაძე/.

13/IV-38 წ.
ქ. ბათუმი.

(ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 159)

ბერიასადმი გაგზავნილი ეს განცხადება ადასტურებს, რომ აჭარაში ანტირელიგიური ფრონტი სრულიად იყო გადაჯაჭვული **შიდაპარტიულ წმენდებთან**. რელიგიასთან ბრძოლა გახდა მოსახერხებელი იარაღი პოლიტიკური ოპონენტების მოსაცილებლად - თუ ვინმეს მოცილება სურდათ, მას უბრალოდ "რელიგიურ გადმონაშთებთან მებრძოლ ,,პასიურ ელემენტად" ან "ფარულ მორწმუნედ" შერაცხავდნენ.

საქმეში დაცულია ცენტრალური **ანტირელიგიური კურსების კურსანტების ანკეტები,** რომლებშიც წარმოდგენილია გრაფები: **"ოპოზიციონერობა"**, **"სოციალური წარმოშობა"** და **"ანტირელიგიური მომზადება".** ანკეტა წარმოადგენდა ერთგვარ ფილტრს. სისტემა ეძებდა არა უბრალოდ ათეისტებს, არამედ **"იდეოლოგიურ ჯარისკაცებს"**, რომელთა წარსულიც აბსოლუტურად სუფთა (საბჭოთა გაგებით) უნდა ყოფილიყო. ანკეტა ითვალისწინებდა სახელის, გვარის, მამის სახელის, დაბადების ადგილის, ეროვნების, ენების, სოციალურ წარმოშობისა და მდგომარეობის, პარტიულობის, ოპოზიციონერობის, სამუშაო ადგილის, თანამდებობის და სხვა მონაცემების შევსებას. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოლიტიკური განათლების, ანტირელიგიური მომზადების, შესაბამისი ორგანიზაციის ანტირელიგიური საქმიანობის შესახებ ინფორმაციების შევსება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 168). ეს საარქივო მონაცემები წარმოადგენს აჭარის რელიგიური ლანდშაფტის "ინვენტარიზაციისა" და მისი მიზანმიმართული ნგრევის უტყუარ სურათს. 1930-იანი წლების სტატისტიკა ააშკარავებს იმ ტოტალურ კონტროლს, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებდა არა მხოლოდ ინსტიტუციებზე (მეჩეთები, ეკლესიები), არამედ თითოეული ადამიანის აზროვნებაზე.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ერთ-ერთ დოკუმენტში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები აჭარაში მუკის უჯრედების, მუკის წევრების, წრეების, ჩატარებული ღონისძიებებისა და მოხსენებების რაოდენობის შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 297). ამ დოკუმენტის მიხედვით აჭარაში იმჟამად იყო მუკის 23 უჯრედი. როგორც ჩანს ამ რაოდენობაში არ შედის ქალაქი. თითოეულ უჯრედში მუკის შემადგენლობა განსაზღვრულია 1000 წევრით, ხოლო ანტირელიგიური წრეებში გაერთიანებული იყო 120-120 მსმენელი. იმ ეტაპზე ჩაუტარებიათ შემდეგი ღონისძიებები:

1. **ანტირელიგიური მოხსენების წაკითხვა - 200,**
2. **გაზეთის ხმამაღალი კითხვა - 5000-ჯერ**
3. **ანტირელიგიური საღამო - 12,**
4. **ანტირელიგიური რადიო-გადაცემა 5.**

ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია სამლოცველოთა რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. **საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რეგიონში ყოფილა:**

ა) 209 მეჩეთი (ხულოში 105, ქედაში 32, ბათომის რაიონში-28, ქობულეთში-42, ქ. ბათომში-2)**.** საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოქმდებდა 114, არ მოქმედებდა და მთავრობის მიერ იყო დაკეტილი - 95.

ბ) **17 ეკლესია** (ხულოში-1, ქობულეთში-4, ბათომის რაიონში-2, ქ. ბათომში-10) (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 297, 298).

გ) **1 სინაგოგა**

დ) **სამი ვოსტელი/ბაპტისტების სამლოცველო.**

სამლოცველოს შენობები სხვადასხვა მიზნებისათვის გამოიყენებოდა. მაგ. სინაგოგა გამოყენებული იყო ფიზკულტურის დარბაზად, ჰოსპიტალის ეკლესია - კლუბად, გოროდოკის სამხედრო ეკლესია - ლეგიონის კლუბად (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 298). ეს იყო არა მხოლოდ პრაგმატული გადაწყვეტილება, არამედ რელიგიური დაწესებულებების **სიმბოლური დამცირება**. ტაძრის სიწმინდის ჩანაცვლება "სხეულის კულტით" **(**ფიზკულტურა**)** ან გასართობი ცენტრით (კლუბი) მიზნად ისახავდა რელიგიური შიშის გაქრობას.

ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით ქოხსამკითხველოებთან ჩამოუყალიბებიათ **საბუნებისმეტყველო წრეები,** რაც რეალურად წარმოადგენდა **ათეიზმის ,,მეცნიერულ ნიღაბს".** საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული წრეების სამოქმედო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ციური მნათობების, მზის სისტემის, დედამიწის და მთვარის მოძრაობის, კომეტების, წელიწადის დროის, დედამიწის ქერქის აგებულების და ცვლილებების, ატმოსფეროს, ორგანული ბუნების ევოლუციის, სიცოცხლის წარმოშობის, ადამიანის აგებულების და სხვა საკითხების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 306-309). პროგრამა (მზის სისტემა, ევოლუცია, ანატომია) თავისთავად პოზიტიურია, მაგრამ საბჭოთა კონტექსტში ის გამოიყენებოდა როგორც იარაღი **"სასწაულის" იდეის მოსაკლავად**.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მებრძოლ უღმერთოთა საბჭოსადმი სხვადასხვა ორგანიზაციები, სასკოლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები დროდადრო უგზავნიდნენ ხელმძღვანელობას ანგარიშებს მოსახლეობის რელიგიური განწყობის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი წერილი გაუგზავნია ორთაბათუმის ა/ს. საშუალო სკოლის დირექტორს გ. მგელაძეს - მუკის საბჭოს თავმჯდომარის ქათამაძისათვის. ანგარიშიდან ჩანს, რომ 1937 წლისათვის ,,რელიგიისა და ძველი ჩვეულებების გამო“ სკოლაში არ სწავლობდა არცერთი გოგონა, მაგრამ ანტირელიგიური ახსნა - განმარტებითი საუბრების ჩატარების შემდეგ მომდევნო წლისათვის სკოლაში სასწავლებლად მისულა 5 გოგონა (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 394).

260 ფონდის საქმეებში წარმოდგენილია მუკის 1938-1940 წწ. ბრძანებების წიგნი (საქმე #1 ა), 1939 წლის მუკის კრებების, პლენუმების ოქმები, ანგარიშები, გეგმები, დეტალური ინფორმაციები მუკის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობის შესახებ (საქმე #3), სხვადასხვა ორგანიზაციებში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები, გეგმები, 1946-1947 წლების მიმოწერები და ა. შ. (საქმე #10)

ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ხულოში 1938 წელს ჩამოყალიბებულა ,,მუკის 3 ახალი მოწაფეთა ორგანიზაცია“, დეკანაშვილების მუკის უჯრედის თავმჯდომარეს ჯივან თავართქილაძეს ორგანიზაციაში მიუზიდავს 18 ქალი (,,რომლებიც დღეს არც ლოცულობენ და არ ჩადრს იფარებენ სახეზე“). ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ინტელიგენტი და კომკავშირელი ორგანიზაციის წევრიც კი ,,საბოლოოდ ვერ გათავისუფლებულა რელიგიური რწმენისაგან”. დოკუმენტში დასახელებულია ფაქტი, რომლის მიხედვით ,,ხულოს რაიონის კბილის ექიმს ბინალ აბაშიძეს მოუნათლავს ალმელი ოსმან აბულაძის ბავშვი“, ჯაბნიძეებში ,,შვიდ კომკავშირელს ბაირამი ულოცია“, მაწყვალთის კომკავშირული ორგნიზაციის წევრს ,,დაუწყია ლოცვა“ და ა.შ. ეს არის ყველაზე დრამატული მომენტი: სისტემის შიგნით მყოფი ადამიანები - ინტელიგენცია (ექიმი ბინალ აბაშიძე) და მომავალი "ელიტა" (კომკავშირელები) - კვლავ რჩებოდნენ რელიგიურ ველში. ამდენად, საბჭოთა ათეიზმი ვერ გახდა "ხალხის არჩევანი". ის დარჩა ხელოვნურ, ძალადობრივ კონსტრუქციად, რომელიც ებრძოდა არა მხოლოდ ინსტიტუტებს, არამედ ადამიანურ ბუნებასა და საუკუნოვან მორალურ ღირებულებებს. სწორედ ამიტომ, მუკს მიზანშეწონილად ჩაუთვლია ანტირელიგიური საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 24,25). საქმეში გვხვდება სხვადასხვა ორგანიზაციებთან თუ ცალკეულ პიროვნებებთან მუკის მიერ გაფორმებული ხელშკრულებები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 109), მუკის ორგანიზაციების მუშაობის აღრიცხვის ფორმები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 140).

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ნათელია, რომ საბჭოთა ათეიზმი ცდილობდა გაეკონტროლებიანა ყველაზე რთული უბანი - **ადამიანის პირადული სივრცე და ოჯახური ტრადიცია**. მიუხედავად ტოტალური კონტროლისა, რელიგიუ-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რი გრძნობების ამოძირკვა "ბრძანების" ძალით შეუძლებელი აღმოჩნდა, რამაც სისტემის აგრესია კიდევ უფრო გაზარდა.

მუკის ადგილობრივი თუ რესპუბლიკური საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ლექტორების კვალიფიკაციას. როგორც ჩანს ზოგიერთი პიროვნება თავს ასაღებდა მუკის ცენტრალური საბჭოს ლექტორად, თუმცა ამის რწმუნება მას არ ჰქონდა. "ცენტრალური საბჭოს ლექტორად" თავის გასაღება, სავარაუდოდ, გარკვეულ პრივილეგიებთან ან ანაზღაურებასთან იყო დაკავშირებული, რასაც ადგილობრივი თვითმარქვიები იყენებდნენ. ამიტომაც შესაბამის სათაო უწყების მიერ მუკის საოლქო თუ საქალაქო ორგანიზაციებში დაგზავნილ იქნა წერილები, რომლითაც ადგილობრივ ორგანიზაციებს ავალდებულებდნენ, რომ ლექციების ჩატარების უფლება მიეცათ მხოლოდ მუკის ცენტრალური საბჭოს იმ ლექტორებისათვის, რომლებთანაც ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 160). ის ფაქტი, რომ ცენტრალური საბჭო მკაცრად აკონტროლებდა ლექტორთა რწმუნებებს, მიუთითებს ლექტორების ფილტრაციის პროცესზე. სახელმწიფო იდეოლოგიას ეშინოდა "თვითშემოქმედების". საჭირო იყო მხოლოდ "სწორად" მომზადებული კადრები, რომლებიც პარტიულ ხაზს არ გადაუხვევდნენ. საქმეშია 1939 წლის 15 ივნისით დათარიღებული თხოვნა 40 კაცის ხელმოწერით - სოფელ დაგვის სკოლის მეჩეთად გადაკეთების შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 205). ნიშანდობლივია, რომ 1939 წელი "დიდი ტერორის" დასასრული და მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდია. ამ დროს ეკლესია-მეჩეთების მასობრივი დახურვა და მათი კლუბებად ან საწყობებად გადაკეთება ჩვეული პრაქტიკა იყო, თუმცა აქ საქმე გვაქვს საპირისპირო პროცესთან. 40 კაცის ხელმოწერა სკოლის მეჩეთად გადაკეთების მოთხოვნით, იმ პერიოდისათვის საკმაოდ გაბედული ნაბიჯია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად რეპრესიებისა, ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიური იდენტობა კვლავ ძლიერი იყო და ისინი ცდილობდნენ ლეგალური გზებით (თხოვნებით, კოლექტიური წერილებით) დაებრუნებინათ საკულტო ნაგებობები. სოფელ დაგვის მოსახლეობის ეს მოთხოვნა, სავარაუდოდ, იყო მცდელობა დაებრუნებინათ ის შენობა, რომელიც მანამდე შესაძლოა მართლაც მეჩეთს წარმოადგენდა.

მუკის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისადმი გაგზავნილ წერილებში ყურადღება გამახვილებულია თითქოსდა ,,თვალთმაქცური ხასიათის“ მატარებელი რელიგიური ლოზუნგების შესახებ (1939 წლის 25 მარტის N 110 წერილი). დოკუმენტის მიხედვით **,,სიყვარულისა და მტერთა ყოვლის პატიების“** ლოზუნგები წარმოადგენს **,,რეაქციული ხუცობის თვალთმაქცობას - ტროცკისტების, ბუხარინელების კონტრევოლუციური საქმიანობის მისაჩქმალავად** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 311). ტერმინი "თვალთმაქცობა" ხშირად გამოიყენებოდა იმის ხაზგასასმელად, რომ რელიგია მხოლოდ ნიღაბია, რომლის მიღმაც ანტისაბჭოთა საქმიანობა იმალება. ეს აძლევდა საბჭოებს საფუძველს, ჩარეულიყვნენ სინდისის თავისუფლებაში, რადგან საკითხი უკვე არა რწმენას, არამედ **სახელმწიფო უსაფრთხოებას** ეხებოდა. აქ ნათლად ჩანს საბჭოთა პროპაგანდის მი-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ერ რელიგიური დოგმების **პოლიტიზება** და მათი დაკავშირება "ხალხის მტრების" წინააღმდეგ ბრძოლასთან.

ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს ააშკარავებს, კერძოდ:

ა. **რელიგიური ეთიკა გამოყენებულ იქნა პოლიტიკის წინააღმდეგ.** ფრაზა **"სიყვარულისა და მტერთა ყოვლის პატიების"** შესახებ ლოზუნგებზე თავდასხმა შემთხვევითი არ იყო. საბჭოთა იდეოლოგიისთვის "მტრის პატიება" მიუღებელი კონცეფცია იყო. რელიგიური ჰუმანიზმი განიხილებოდა როგორც იარაღი, რომელიც ადუნებდა მოსახლეობის "რევოლუციურ სიფხიზლეს";

ბ. **"ტროცკისტულ-ბუხარინული" ნარატივი.** 1939 წელს "დიდი წმენდის" ტალღა ჯერ კიდევ მძვინვარებდა. რელიგიური ორგანიზაციების დაკავშირება **ტროცკისტებთან და ბუხარინელებთან** იყო სტანდარტული მეთოდი ნებისმიერი ჯგუფის დისკრედიტაციისთვის. ამით მუკი ამართლებდა რეპრესიებს - თუკი მღვდელი ან მოლა "მიტევებაზე" საუბრობდა, ეს ავტომატურად ითარგმნებოდა, როგორც მცდელობა, დაეცვათ "კონტრევოლუციონერები" სასჯელისაგან.

საბჭოთა რეჟიმი ტოტალურ კონტროლს ამყარებდა ადამიანის პირად სივრცეზე, მის სახლსა და ოჯახზეც კი. მუკის ორგანიზაციები ზოგჯერ **კერძო ბინების შემოწმებასაც ახდენდნენ,** რის შემდეგაც ხდებოდა აქტების შედგენა. 1939 წ. თებერვლის აქტის მიხედვით (რომელსაც ხელს აწერენ გამომრკვევი კომისიის წევრები, როგორც **,,იდეოლოგიური ინკვიზიტორები**" - სანიკიძე, კვირკველია, კუტუბიძე) ენგელსის (ეხლ. მელიქიშვილის) და მოსკოვის (ეხლ. კომახიძის) ქუჩების კუთხეში შეუმოწმებიათ პეტრე ბურმანის ბინა, რომელშიც იგი ცხოვრობდა ქალიშვილთან (ნავსადგურის ბუღალტრის თანაშემწე) და შვილიშვილთან ერთად. აქტში აღნიშნულია, რომ პ. ბურმანის საცხოვრებელი ბინის დერეფანში მოწყობილი იყო სამლოცველო კუთხე მაგიდით, რომელზეც დაწყობილი იყო სახარების წიგნები, სასანთლე - ანთებული სანთლით, საეკლესიო ჯვრები, წმინდანთა სურათები და ქრისტეს ჯვარცმა (,,დანაშაულის ნივთმტკიცებები"). აქტში აღნიშნულია, რომ პ. ბურმანი სისტემატურად ლოცულობს და მის ლოცვას ,,უცქერის პატარა ბავშვი" რომელიც ,,ეჩვევა რელიგიურ წესების შესრულებას". ბავშვის დედა კი ამას გულდამშვიდებით უცქერისო (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 336). შემოწმების აქტიდან დგინდება, რომ ოჯახიც წარმოადგენდა იდეოლოგიური ბრძოლოს ველს. აქტში ყველაზე საგულისხმოა აქცენტი **ბავშვზე**. საბჭოთა იდეოლოგიისთვის ბავშვი იყო **"ახალი ადამიანის"** პროტოტიპი, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებად ითვლებოდა. ბაბუის ლოცვა დანაშაულად ითვლებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავად იყო მორწმუნე, არამედ იმიტომ, რომ ამას "უცქერდა პატარა ბავშვი". ფრაზა, რომ დედა "გულდამშვიდებით უცქერის" ამ პროცესს, იმ პერიოდის ენაზე ნიშნავდა მშობლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობას - მას შვილი ათეისტურად უნდა აღეზარდა. ეს ჩანაწერი, შესაძლოა, საფუძველი გამხდარიყო დედის სამსახურიდან დათხოვნის (ნავსადგურის ბუღალტრის თანაშემწე) ან სხვა რეპრესიული ზომების. ამასთან, კერძო ბინაში "სამლოცველო კუთხის" მოწყობა

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

განიხილებოდა როგორც არალეგალური რელიგიური ორგანიზაციის ჩანასახი, რაც იმ დროს კანონით ისჯებოდა. პეტრე ბურმანის ოჯახი, როგორც ჩანს, ინტელიგენტური ან საშუალო ფენის წარმომადგენელი იყო (ბუღალტრის თანაშემწე ქალიშვილი, მოწესრიგებული ბინა ბათუმის ცენტრში). სწორედ ასეთი ოჯახები ხდებოდნენ ხშირად "მუკ"-ის სამიზნეები, რათა ეჩვენებინათ, რომ "რელიგიური გადმონაშთები" მხოლოდ გაუნათლებელ გლეხობაში კი არა, ქალაქის მაცხოვრებლებშიც არსებობდა.

1940-იან წლების მეორე ნახევარში თითქოსდა შესუსტდა ანტირელიგიური საქმიანობა. რამდენადმე შემცირდა ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა, თუმცა იგი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამაზე მეტყველებს **,,ანტირელიგიური საბუნებისმეტყველო მეცნიერების**“ პროპაგანდასთან, საჯარო ფასიანი ლექციების ორგანიზებასთან, კვალიფიციური ლექტორების შერჩევასთან (საქმე N 11), ლექციების ზუსტ აღრიცხვასთან, სალექციო თემატიკასთან, გეგმებთან, ლექტორების საგზურებთან, ორგანიზაციების ფინანსურ შესაძლებლობასთან, საშტატო ერთეულებთან (საქმე N 14, 18) და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საქმეებში დაცული დოკუმენტური მასალები, საბუღალტრო მონაცემები. გასატარებელ ღონისძიებებს შორის სავალდებულოდაა მიჩნეული ორგბიუროს სხდომის მოწვევა კვარტალში ერთხელ (N14 საქმე). ერთი სიტყვით სისტემამ დაუშვა დროებითი "კომპრომისი" და ,,აგრესიული უღმერთოებიდან" უფრო "აკადემიურ", სისტემურ პროპაგანდაზე გადავიდა. რეჟიმმა გააცნობიერა, რომ ხატების ლეწვა და ბინების ჩხრეკა (როგორც ბურმანის შემთხვევაში) ყოველთვის ეფექტური არ იყო. ამიტომ აქცენტი გადაიტანეს ასტრონომიაზე, ბიოლოგიასა და ფიზიკაზე, რათა "მეცნიერულად დაემტკიცებინათ" ღმერთის არარსებობა.

ფონდში დაცული მასალების სრულყოფილი განხილვა მომავლის საქმეა. ვფიქრობთ, რომ მუკის საქმიანობის შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალები მკითხველს შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ მკვლევარები კვლავაც დაინტერესდებიან აღნიშნული პრობლემატიკით და მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანენ საარქივო სამმართველოში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ამსახველ უნიკალურ საისტორიო საბუთებს.

ამრიგად, მუკი აჭარაში წარმოადგენდა სახელმწიფო ტერორის ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავდა არა მხოლოდ რელიგიური ინსტიტუტების ნგრევას, არამედ ადამიანის პირადი სივრცის სრულ ოკუპაციას. მიუხედავად „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მძლავრი ბიუროკრატიული და ფინანსური მობილიზაციისა, სისტემამ ვერ შეძლო რელიგიური იდენტობის სრული ეროზია. საარქივო მასალები ააშკარავებს სისტემის შიდა კორუფციასა და იდეოლოგიურ ფიქციას, რაც საბოლოოდ საბჭოთა იმპერიის კულტურული და სულიერი კრახის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

წყაროები და ლიტერატურა:

ქრისტიანული თემის საქმიანობა ბათუმში 1940-1950-იან წლებში (რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულების ფონდში დაცული დოკუმენტების მიხედვით. ჩვენი სულიერების ბალავარი, ბათუმი 2011.

საარქივო წყაროები:

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასსცსა), ფონდი ი - 977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც.26;

ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 6, 12, 18, 19, 20, 28, 41, 42, 43, 48, 53, 74, 75, 76, 101, 102, 104, 105, 130, 131, 134, 143, 159, 168, 291, 297, 298, 306 – 309, 394, 395, 402, 403;

ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფ. 24, 25, 109, 140, 160, 205, 311, 329, 336;

ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 11, ფ. 3.

References:

The Cornerstone of Our Spirituality, 2011: The Activities of the Christian Community in Batumi in the 1940s and 1950s (Based on documents preserved in the fonds of the Commissioners of the Council for Religious Cults). The Cornerstone of Our Spirituality, Batumi, 2011.

Archival Sources:

Central State Archives of Archives Administration of Ajara (csaaaa) Fund E-977, description 1, case 18, page 26;

csaaaa, fund R-260, case 1, pages: 6, 12, 18, 19, 20, 28, 41, 42, 43, 48, 53, 74, 75, 76, 101, 102, 104, 105, 130, 131, 134, 143, 159, 168, 291, 297, 298, 306 – 309, 394, 395, 402, 403;

csaaaa, fund R-260, case 3, pages: 24, 25, 109, 140, 160, 205, 311, 329, 336;

csaaaa, fund R-260, case 11, page 3.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026